ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 434

“ 23 ” სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №8დ-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.071.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №8დ-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.071.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის №25.1540.1714 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №8დ-ში, მე-4 სართულზე არსებული ბინა №47-ის ფართით 18,60 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.071.01.047) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებაზე, ანა მახალდიანისთვის (პ/ნ. 01021015618) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ამავე განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობით, *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე,* ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე